ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

განკარგულება:**g-63. 632608212**
თარიღი:**23/03/2026**

საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ, 2025 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-17 მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მიერ მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების დელეგირება შეიძლება შესაბამისად საქართველოს საკანონმდებლო აქტით, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებით, სათანადო მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით, ხოლო მე-3 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს უფლებამოსილებების ხელშეკრულებით დელეგირების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა. სათანადო ხელშეკრულება იდება მუნიციპალიტეტსა და შესაბამის სამინისტროს შორის, ამ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების მოთხოვნათა დაცვით. ხელშეკრულებას ხელს აწერს მუნიციპალიტეტის მერი და ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-17 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების და 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განიხილა საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ, 2025 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულების დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს, საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ, 2025 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი